საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

MES 2 19 01645331

02/12/2019

სატენდერო კომისიის შექმნის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის №05/91 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების 21-ე მუხლის, საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ელექტრონული ტენდერის (SPA) საშუალებით ინტერენტ-მომსახურების შესყიდვის მიზნით შეიქმნას სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სატენდერო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1.1 რუსუდან თევზაძე - კომისიის თავმჯდომარე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
1.2 ირინა დვალი – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ფინანსური მენეჯერი;
1.3 საბა ხმალაძე - კომისიის წევრი, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
1.4 გიორგი მელითაური - კომისიის წევრი, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ქსელის ადმინისტრატორი.

2. სატენდერო კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას სატენდერო კომისიის აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

2.1 თენგიზი გომელაური - კომისიის აპარატის წევრი, შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

საქართველო, თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 19. ტელ: (995 32) 2999411. ელ.ფოსტა: info@tafu.edu.ge

2.2 ავთანდილ ბერიშვილი - კომისიის აპარატის წევრი, შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

3. ბრძანების სატენდერო კომისიის წევრებისა და სატენდერო კომისიის აპარატის წევრებისათვის გაცნობა დაევალოს უნივერსიტეტის საორგანიზაციო სამსახურს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N 6.

საფუძელი: ნოდარ ციცქიშვილის 2019 წლის 02 დეკემბრის მოხსენებითი ბარათი MES 5 19 01645172

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი